

სილი იღვეწის დაცემულის ქრიტიანის ქართველობის ზნეობის და ნიეთიერის კეთილ-დღეობისათვის და ამეგ ქაშს როგორც კაცი შემოსილია იზვიათის კაცობრივის სიკეთითა, მისი აზრი მიმართულია როგორც მთელის სამეფოს სიკეთეზე, აგრეთვე თვითთავულად ყოველს კაცზე. იმისი სიყვარული ზეცაური სიყვარულია, რომელიც აკავშირებს მას ცასთან და ქვეყანასთან.

„აღშენება“ ქვეყნისა სწორედ ამ კაცის და ქვეყნის სიყვარულისაგანა სწარმოებს, სარწმუნოება მას აღათრთოვანებს და შარავანდელითა ჰმოსავს. ეს „აღშენებელი“ სიყვარულია მიზეზი, რომ საქართველო დიდებულ მღვთმარებაში შედის ოსამარ ღვთაფლის უკანასკნელ წამამდე. ამ მაგალითმა წმინდის ღვთის აღმშენებლის ცხოვრებისამ მრავალ ჯერ ქართველობა გაჰიბრებდგან გამოიყვანა და მაჰმადიანებს ხელიდამ გამოჰკლიჯა ქრისტიანობა. აღმშენებლის მაგალითი გზას უჩვენებდა არა მხოლოდ მეფეთა არამედ თვითთავულ ქართველ კაცსაც. ამიტომ მის შემდეგ ქართველობაში მრავალნი თუ სამღვდლო და თუ ერის კაცნი მრავალ ღვაწლსა სდებდნენ თუ ეკლესიისა და მეფობისათვის, თუ მოქალაქობრივის ცხოვრებისა წარმატებისა და განათლებისათვის.

ღვაკვირდეთ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, რას ვაკეთებთ ქვეყნის „აღშენებისათვის?“

აგერ ოთხმოცი წელიწადია, რუსთ ხელმწიფობის მფარველობის ქვეშ გარეთა მტრის შემოსევისაგან დაცული ვართ. რაც სახელმწიფოს გამგეობას შეეხება ამაზე ჩვენ არ გვინდა ლაპარაკი და საზოგადოებასაც არ შევეხებთ. აქ მხოლოდ იმას დავაკვირდეთ, რაც თვითთავულად განმარტობით ყოველის ადამიანის მოქმედებას უნდა ეკუთვნოდეს, როგორც წევრს კაცთა საზოგადოებისას და ოჯახისას.

მე მქონდა მშვენიერი სასახლე, მშვენიერის ბაღით, უშველებელი მამული... საკუთარი ეკიპაჟი, მშვენიერის ცხენებით... მყვანდნენ მოსამსახურები და ცოლი, მაგრამ რა და როგორა ცოლი? ნამდვილი მშვენიერება, შერტებული კეთილთან. ამასთან მიყვარდა, და როგორ მიყვარდა?.. ხოლოდ ეს იყო, რომ მინდოდა უთუოდ მომეკლა, რას იტყვი, ჩემო ბატონო, განა ეს ნამდვილი სიყვარული არ არის?..

ამ დროს ქვეყანას მოეფინა ბინდი, ნათელი ცასა შორდებოდა და მატარებელშიაც ჩამოვამდა. ამ უკანასკნელმა მისმა სიტყვებმა ამართოვლეს. მე უნებლიედ გადავხედე ამ კაცს და სახის-მეტყველობამ დიდად შამაშინა.

— შოროილესად გთხოვთ, უთხარი მე, გამოსცვალოთ საგანი თქვენის საუბრისა და უკეთუ გსურთ ჩემთან ლაპარაკი, იწყეთ სასიამოვნო საგანზედა.

— ხა! ხა! ხა! დიწყო საშინელი ხარხარი. მანა ამაზედ სასიამოვნო სა-

რა გაუკეთებია ქართველ კაცს ქვეყნის „აღშენებლად“, თავისი მხრით. ნეტა ბევრს ქართველს მოსვლია ფიქრში, რომ კაცო, მეც ხომ ადამიანი ვარ, იმ წრეში საცა ვარ და ვცხოვრობ, ოჯახია სოფელია თუ ქალაქი, პატარა საქვეყნოდ სასარგებლო რამ განა არ უნდა მოვიქმედო? ძალიან მცირეთაგან მცირეს.

სულ პირველი საგანი ავიღოთ ჩვენ სარჩო-საბადებელი. გეფიქრია, რომ სენიდიხიანად ვიშუშაოთ და გავაკეთოთ მაჰა-პაპისაგან დატყვევებული მამული; გეფიქრია, რომ უშრომლად და უანგარიშო ცხოვრებით ვშლით ჩვენის ოჯახობის ბედნიერებასა და ამით ვშლით მთელის ჩვენის ქვეყნის დაწინაურებას? მხლანდელი ქართველი გადაქცეულია მცონარა მქამელად, რომელიც მარტო ლხინსა და ჭამასა ფიქრობს, სხვის გავლენასა და ტაცებასა, და უშრომლად ცხოვრებასა ამ საზიზღარ მღვთმარებასთან გეზობლობისა და სახლი კაცების შური ძირსა უთხრას იმ დიდებულ ქრისტიანულ კავშირს, რომლისთვისაც იღვაწა წმინდა მეფემა და რომლის უქონლობა პირველი და უძლიერესი მტერია ყოველ კეთილ დღეობისა.

თქვენ მიზეზებს ჩამოსთვლით. მართალია მიზეზებია მიზეზებია, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ძვალში და რბილში გამჯდარს მტრობას, შურსა და სიძულვილსა. ჩამდენი ათასობით შეიძლება ჩამოეთვალოთ იმისთანა კაცები, რომ დაეძებდ „მიზეზ მიზეზ“, — დოს მართლი აკლიაო.“ საშინელი წარმოსადგენია ამისთანა ყოფა ქართველებისა.

მოახდეთ ახლა ნასწავლ ხალხსა. რას წარმოგვიდგენს ნასწავლთ ქართველთ უმრავლესობა? წარმოგვიდგენს უაზროდ, უგზო-უტყველოდ მავლსა, რომელსაც აზრადაც არა აქვს, იკის-

განი უზნობისა იქნება? მხოლოდ ყურადღება იქონიეთ. ბევრი დრო გავიდა, სანამ შემიტყეს, რომ ვიყავი გიჟი ამიტომ, რომ ეცდილობდი დამემალა რადგანაც კარგად მესმოდა ჩემი მღვთმარება. ტყეში თუ სასტუმრო ოთახში, ანუ საცა უნდა ვყოფილიყავი ყველგან მიჩვენებოდნ და წარმომიდგებოდნ დიდის ხნის მკვდრები. ამოდ ვარწმუნებდი ჩემს თავს, რომ ეს ტყუილი მოჩვენებანია მეთქი, მაგრამ თავს არ მანებებდნ. უნდა ვითხრათ, რომ ყმაწვილობის დროს უკვე მოველოდი ჰკუზუნდ შეშლას. ბოლოს ვეღარ შავიდელ დამეფარა, ყველამ შემიტყეს და რასაკერვლია სახლობამაც... მრთს მშვენიერ დღეს, იმ დროს როდესაც დაუსერიანობდი ბაღში, მოვიდა ჩემთან ორი ზორბად მოსული კაცი, შემკრეს ჩამსვეს კარეტაში და წამიყვანეს გიჟების სახლში. ღამამწყვდიეს ერთს პატარა ოთახში, უმებელო და უბუნროში, თუმცა იმ დროს იყო საშინელი ზამთარი. ოთახსა ჰქონდა ერთი პატარა ფანჯარა, რკინის მოაჯირითა.

როს ცოტაოდენი შრომა ჩვენის მშვენიერის ქვეყნისათვის, რომელიც ათასის წლის მტრების შემოსევამ ააოხრა და დღეს ყოველი შეილის მტორედი კეთილი შრომა წყლულს შეუმტირებს და კეთილ დღეობას დაუხლოვებს. მან უნდა ჰფიქრობდეს მომატებულად ქვეყნის „აღშენებას“ თუ არ მეცნიერების სხივით შემოსილი ნაწილი საზოგადოებისა? მაგრამ დღეს დაუფიქრდეთ საზოგადოლო წარმატებასა და ქვეყნის ბედნიერებასა. იმედი მიეცეთ ჩვენს თავსა, რომ, ღვთის მინიჭებულ შეძლებიანა მებრ, მსწავლულსაც, სამღვდლო-საეროსაც, მდიდარსა და ღარიბს—ყველას შეგვიძლია ქვეყნის „აღშენება“ და გაბედნიერება ჩვენის კაცობით, შრომას მოყვარებით, ერთმანერთის დახმარებით და გზის მიცემით. შევლას გულში გვიღვივის ღვთისაგან აღგზნებული ლამაზი, რომელიც გვინათებს ცხოვრებაში გასავლელ გზასა და ქვეყნის მანებელსა და სასარგებლოს სახილველად გვიხდის. დანახვა ორისავე ადგილი, ოლომც კი თვალი არ დავხუჭოთ...

დღიური

დღეს, ოთხშაბათს არის დანიშნული ატარების თეატრში ბენეფისი ჩვენი ნიჭიერი არტისტკას ქალბ. მ. საფაროვისა. წარმოადგენენ პირველად ბ. ბაბ. ნ. სუნდუკიანცის კომედიას — „დაქცეული ოჯახი“ და ოპერეტკას — „მეჯლისი იტალიელებით“.

შეველია, ეს წარმოდგენა დიდს საზოგადოებას მიიზიდავს, რადგანაც, როგორც ბ. სუნდუკიანცს მწერალს, ისე ქალბ. მ. საფაროვისას — არტისტკას დიდი ხანია ჩვენი საზოგადოების ყურადღება და თანაგრძობა დაუშაბნურებიათ.

\* \*

ეს იყო სასინათო. ისეთი საძაგელი და საშიშარი მოჩვენებები მელანდებოდნ, რომ ვერ წარმოიდგენთ, მომატებულად მთვარიან ღამებში.

მრთველ გავიწყვიტე ხელიდამ თოკები და მივარდი მოსაკვლელად მოჩვენებასა, მაგრამ შემომიცვიდნენ ზედამხედველები და ხელ-ახლად მიმაკრეს ტახტზედ. იმათ ეგონათ, რომ მე მინდოდა თავი მომეკლა. შეტურები! ისენი ვერა ხედავდნ მოჩვენებასა!.. ოითქმის სამი წელიწადი ესრე მაწვალდდნ ის ჩემი მტარვალები.

ბოლოს, ერთს მშვენიერ დილას, შემდეგ ხანგრძლივის და მოსვენების ძილისა, გამოვიღვიძე და მოჩვენებანი სრულებით განქრნენ. სიხარულისაგან დავიწყე ტირილი, როგორც ბავშვმა, მუხლ-მოდრეკით შევსწირე მადლობა ღმერთსა და მომწონდა თავი, რომ დავამარცხე ეშმაკი და მისი მოსამსახურენი...

ამის შემდეგ სიამოვნებით ვატარებდი დროსა, რადგანაც ხელ-ფეხს აღარ მიკრავდნ. მაშინ მომივიდა ფიქრში იმ სახლიდამ გამოქცევა. უთუოდ

ხორაგაულიდამ გეაცოდინებენ:

„19 იანვარს ჩვენს სტანკიაზედ მოხდა საცოდაობა. შოროი-მთილისის რკინის გზამ კიდევ იმსხვრებლა ერთი ნორჩი 14 წ. ყრმა ბიგო ხარაძე. ხა-შურიდამ მომავალი საქონლის მატარებელი № 32 და შეირილიდამ მომავალი № 37, რომელსაც მოყვდა ჯარი შეერთდნ ხორაგულის სტანკიაზედ დილის 7 საათზედ. შეირილიდამ მატარებელი აღრე მოვიდა; რაც მისდა საუბედუროდ ეს ყმაწვილიც მივიდა და დაუწყა თურმე სალდათებს ბაშლიყზედ ეატობა. საწყალმა ის კი ვერ შეამჩნია თუ ზევიდამაც მოლოდა მატარებელი. როდესაც მაშინისტმა და მოსამსახურებმა დაინახეს ყმაწვილს უკივლეს რომ გადამდგარიყო, მაგრამ ყმაწვილი უეცრად შექრთა და ვერა გაიგო-რა; ამ ხანში მატარებელმაც მოაღწია, დაეჯახა და ორივე ბარძაყები მოავლიჯა. ჩამდენიმე საათის შემდეგ ბიგო ხარაძემ სული განუტყეა.“

\* \*


ღამე არ გავა, რომ ჩამდენიმე ჩხუბი, კაცების დაჭრა და უსიამოვნება არ მოხდეს იმ სასტუმროებში, სადაც კი არჩიანკები და დამკვრელი ქალები არიან. საკვირველია ასეთი ყურადღების მოუქცევლობა ვისგანაც ჯერ არს, მით უფრო, რომ ეს მუქთახორაგი არჩიანკები ჰყვლეფენ და ალატაკებენ ხალხს, რომელთაც ორიოდ სტაქნის დაღვივის შემდეგ, აღარ იციან რას შერებიან. მშიერს კაცს, რომ სასტუმროში პურის საჭმელად შესვლა უნდოდეს, ვერ გაუბედნია, რადგანაც ეშინიან ერთის მხრით გაცარცვისა და მეორეს მხრით რომელიმე ხათბაღისა.

\* \*

მკითხავთ, რომლის ღონის-ძიებითა? მომითმინეთ, ყველას მოგახსენებთ...

მოვიფიქრე, მეჩვენებინა, რომ ვითომც დავტყვიანდი. მქიმი ყოველ დღე მოდიოდა სანახავად, მესმოდა მისი ფეხის ხმა და ვიცოდი როდის შემოვიდოდა ჩემთან. მსთქვი ექიმი უთუოდ უნდა მოვატყუილო-მეთქი და ეს ჩემთვის დიდი გასაჭირი საქმე იყო, მაგრამ აღვანრულე. ეს საქმე ჩემთვის საშინელი იყო, ამიტომ, რომ გონიერი სჯა არა მქონდა, და როდესაც დავიწყებდი ლაპარაკსა ენა ჩემი მოჰყვებოდა ისეთს უთავბოლო ყბელობასა, რომ არც მთისა იყო და არც ბრისა... წარმოიდგინეთ, რა საშინელი შრომა უნდა მემზარა, რომ ჰკვიანურად დამეჭირა ჩემი თავი, როდესაც ექიმი უნდა ჩემთან შემოსულიყო. როგორც მოწაფე ვემზადებოდი, რა უნდა მეთქვა, როგორ უნდა დამეკრა თავი და მომეტებულად, როგორ უნდა დამეჭირა თვალები, რომლებიც საშინლად გასცემენ კაცსა. მე ვეუბნებოდა, ვარწმუნებდი, რომ თუმც კარგათა ვარ, მაგრამ ამ ხანგრძლივ





ამ დღეებში ბლდანელმა ორჯერ კიდევ გაიმარჯვა.

მწუხვართ, რომ ეს სახალხო ჭიდაობა ვილაყა ვადმოვარდნილმა საფრანგეთელმა ჩაიგდო ხელში, ჰყველ ფაეს ხალხს, იტენება თითონ და იხალხი, რომელსაც მანათების მიცემა არ შეუძლიან, ამ სახალხო სვირითაც ველარ სარგებლობს.

ამ ნაირად ჩვენი ხალხური თამაშობით კუჭები გაიძღეს და სული მოიბრუნეს არაერთი სარგებლობის მომცემმა აკრობატებმა და პამპულაებმა.

\* \*

საკვირველია, რომ ამ უფულობის დროს, როდესაც ყოველ ნაბიჯზედ საჩივარი გესმისთ, ლოთობა ასე რიგად გავრცელდა ძალაქში. თითქმის ყოველ ნაბიჯზედ თქვენ გესმისთ ღრიალი ვალეკებული ხალხისა, რომელიც ლამ-ლამობით დადიან, არც თითონ ისვენებენ და აღარც სხვას ასვენებენ.

\* \*

ძართული დრამატიული დასისაგან მზადდება შექსპირის დრამა: „მეფე ლიანა“, რომელიც წარმოდგენილი იქნება თებერვალში. როგორც ამობენ, ამ პიესის მომზადებას ძალიან გულ მოდგინედ შესდგომიან. მეტი არ იქნებოდა, რომ მეფე ლიანის წარმოდგენის დღე ცოტა უფრო აღრე გამოაცხადონ, რადგანაც ნახვის მსურველები, უეჭველია, ბევრი აღმოჩნდებიან ძალაქს გარეთაც.

\* \*

ჩვენ შევტყუეთ, რომ ქართულ სცენაზე მალე ითამაშებენ ახალ დრამას ისტორიულ ცხოვრებიდან: „მეფე ბაგრატ IV“, ოთხს მოქმედებად, თხზ. პ. ს. მესხისა.

დაქვრით დასუსტებული ვარ-მეთქი და ვსთხოვდი მალე განთავისუფლებასა...

მართლ მომივიდა ფიქრად და ვკითხე ექიმს ჩემის ცოლის ამბავი. ამ კითხვანედ მაშინვე გაგზავნეს კაცა ჩემის ცოლის მოსაყვანად და ისიც მოვიდა. ჩემი ცოლი იყო ფერ-მკრთალი, მშვიდის სახისა და მშვენიერი. მაშინვე მოუხუჯე გვერდით და ამასაც ის ვუთხარი, რაც ვუთხარი ექიმსა. მერმე გამოვართვი ლამაზი ხელი, დავუწყე კოცნა, მაგრამ მაშინაც კიდევ ვფიქრობდი ამის მოკვლასა. მითხარი, შენი ჭირიმი, კარგად არ ვატყუილებდი ყველასა...

მამასალმების დროს ვაკოცე პირზედ ცოლს და ნუგეში მივეცი, რომ მალე დავბრუნდები-მეთქი შინა და ამასთან ცოტა გაწყდა არ ვუთხარი, რომ შენ უთუოდ მოგკლამ-მეთქი.

მამჩნევი მაინც, რომ არ იყვნენ დარწმუნებულნი ჩემს სიტყვიანებზედ: სულ ეჭვის თვალთ მიყურებდენ და ექიმს ჩემს გაშვებანედ ლაპარაკიც კი არ უნდოდა. მაშინ ავადმყოფობა მო-

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! წარსულს კვირას ქართ. დრამ. დასისაგან წარმოსადგენად დანიშნული იყო მზის დაბნელება. საზოგადოება შეიყარა საკმაოდ. მოთამაშენი ჩაცმულები და მომზადებული ელოდენ უფერტიურის გათავებას, როდესაც ბ. პრწრუნი კაცი მოვიდა და გამოაცხადა, რომ წარმოდგენის გამართვა არ იქნება, რადგანაც გაზის მაშინა წახდაო და თეატრი ველარათრით განათდება!

წარმოდგენით მოთამაშეთ მდგომარეობა, რომელთაც აღარ იცოდენ თავი რითი უნდა ემართლებინათ საზოგადოების წინაშე. ბათათა მუნიკამ, საზოგადოება ელის ფარდის ახლას; ტაშის ცემით და სკამების ბრახუნით მოთამაშეთ აცნობებს მოუთმენლობას და მოთამაშენი-კი ვერ ჰბედავენ სცენიდან ეს მოულოდნელი შემთხვევა შეატყობინონ საზოგადოებას.

ბოლოს, როგორც იყო, ბ. აბაშიძე გამოვიდა და საზოგადოებას შეატყობინა, რომ წარმოდგენა ვერ შესდგება ამა-და-ამ მიზეზითაო. შვირილს და ხმაურობას ბოლო აღარა ჰქონდა, რადგანაც საზოგადოებას არა სჯეროდა ამ გვარი შემთხვევა და აქტიორებს აბრალებდენ, მაგრამ ბ. პრწრუნი და პოლიციის ჩინოვნიკმა დაარწმუნეს, რომ გაზის მილი იყო გახეთქილი და იმის მიზეზით თეატრი ველარ განათდება.

საზოგადოებამ მიიღო ფული უკან და დაიშალა.

არ შეგვიძლიან ამ შემთხვევისათვის საყვედური არ ვუთხრათ ბ. ბ. პრწრუნის, რომელსაც ვაზომეტრის საშუალებით აღრევე შეტყობილი უნდა ჰქონოდა, რომ გაზი არა მზადდება და თეატრი ვერ განათდება და, მაშასადამე, ვერც წარმოდგენა

ვგონე. ავიღე ხელი სმა-ჭამაზედ, რომ ამით სრულებით მივსუსტებოლიყავი. წარმოდგენით ჩემის თავის განწირულება და ტანჯვა, გარწმუნებთ მხოლოდ გიჟს შეუძლია ამისთანა მოთმინება და თავის თავის წყალობა.

ამაზედ ექიმი ჰფიქრობდა და დაასვენა თავის განჩინება, რომ ჩემთვის საჭიროა ჰაერი და მოძრაობა და უბრძანა გადავეყვანეთ ერთს პატარა კუთხის ოთახში, რომლიდანაც ჰსწნდა რკინის გზა. მე ამას, რომ ვუყურებდი სულ იმაზედ ვფიქრობდი, რომ ამ გზით უნდა უთუოდ გავიარო-მეთქი. ამის აღსასრულებლად საჭირო იყო ბედნიერი შემთხვევა და ფული. ცოტა ცოტად უკედ გავხდი და ისე მშვიდობიანად ვიქცეოდი, რომ ნება მომცეს სვირობისა, თუმცა უკან დამდედა კაცი. ექიმი, როცა კი მნახვდა, მარწმუნებდა, რომ მალე გავიშვებო. მე თითონ გადავწყვიტე მალე აღმესრულებინა ექიმის სიტყვა. ბაქცევა-ამის მეტი ჩემს თავში სხვა ფიქრი არა მქონდა-რა, სულ ამაზედ

შესდგებოდა ამ სადამოს. ის მოვალე იყო შეეტყობინებინა ეს შემთხვევა აქტიორებისთვის, რომ თავის დროზედ განკარგულთა მოცდინათ, რომ ბილეთები არ გავყარა კასირს და საზოგადოებისთვის მთელი სადამო არ დაეკარგვინებინა. რასაკვირველია, ბ. პრწრუნი დამნაშავე არ არის, რომ მილი გასკდა, მაგრამ იმის ბრალია თეატრში მოსამსახურების ყურადღების მიუქცევლობა.

წარმოდგენები ბევრჯელ თითონ არტიტების მიზეზით გადადებულა, მაგრამ იქამდინ კი არ დაუცლიათ, რომ მუზიკამ დაუკრას, საზოგადოება ზალაში შემოვიდეს და დალაგდეს. მუზიკას რომ ერთის წუთით აღრე გაეთავებინა დაკრა, ფარდა აიხდებოდა და ლამაზები სწორედ წარმოდგენის დროს გაქრებოდა. თუმცა საშიში არა არის რა ამ შემთხვევაში, მაგრამ საზოგადოებაში არეულება აუცილებელი იქნებოდა და პასუხის მგებელი მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო? რასაკვირველია, ბ. პრწრუნი, რომელსაც ისეთი უზრუნველი მოსამსახურები ჰყავს.

დამსწრე.

ტვილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდის.

ჯანსაღი. განსაკუთრებით და ლისიცი—შინაგან ავადმყოფებისა; კვლადიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფებისა; ბასურტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფებისა; ბასაჟი—ქალების და შინაგან ავადმყოფებისა.

სამ შინაგან. მინკვინი—სირურგიული ავადმყოფებისა; ლისიცი—შინაგან ავადმყოფებისა; კვლადიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფებისა; ბასურტოვი—ბუბიაზის, ქა-

ფიქრობდი, მომეტებულად როდესაც დაინახავდი მატარებელსა.

დაჰკრა ბედნიერმა საათმა... მე ესეირნობდი... მოვიდა ექიმი. რა ჰქნა ამ გონიერმა კაცმა... ძალი დაითხოვა და ჩამავლო ხელი. ზულმა ისეთი რაკა-რუკი ღამიწყო, გვგონებოდათ ჩაქუჩს სცემენო, მაგრამ მეტირა თავი მშვიდობიანად. მე და ექიმი წაველით რკინის გზისაკენ.

—რა მშვენიერი დღეა დღეს, მითხრა ექიმმა, სვირობა შენთვის დიდად სასარგებლოა.

მარცხენა ხელი ედვა ჯიბეში და აჩხარუნებდა ფულებსა.

—მე ფულები საჭიროა ჩემთვის-მეთქი, ვფიქრობდი მე.

—იმედი მაქვს, მითხრა ექიმმა, რომ მალე გექნებათ კეთილი ცხოვრება თქვენს სახლში, თქვენს მამულში...

ამ დროს, როდესაც ეს სიტყვები წარმოსთქვა, ისეთი საძაგელი სახე ჰქონდა, რომ მგზობობდა დასანახად

ლების და ყმაწვილების ავადმყოფებისა; ბასაჟი და დანიელ-ბუკოვი—ქალების სისუსტის და შინაგან ავადმყოფებისა.

ჯანსაღი. ლისიცი და მირმანოვი შინაგან ავადმყოფებისა; კვლადიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფებისა; ბასურტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფებისა; ბასაჟი—ქალების სისუსტის ავადმყოფებისა.

სუთ შინაგან. ლისიცი—შინაგან ავადმყოფებისა; კვლადიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფებისა; ბასურტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფებისა; ბასაჟი—ქალების ავადმყოფებისა.

ჯანსაღი. მინკვინი—სირურგიული ავადმყოფებისა; ლისიცი, მირმანოვი და დანიელ-ბუკოვი—შინაგან ავადმყოფებისა; კვლადიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფებისა; ბასურტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფებისა; ბასაჟი—ქალების სისუსტის ავადმყოფებისა.

ჯანსაღი. ლისიცი—შინაგან ავადმყოფებისა; კვლადიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფებისა; ბასურტოვი—ბუბიაზის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფებისა; ბასაჟი—ქალების სისუსტის ავადმყოფებისა.

განცხადებანი
ახანქმენტის რიცხვში
არწრუნის თეატრი.
ოთხშაბათს, 26 იანვარს
ბენეფიცი
მ. გ. საფაროვისა
ქართული დრამატიული დასისაგან
წარმოდგენილი იქნება

ვად, თუმცა ეს მას არ შეემაჩნევიდა და არ შეგხედდა, რადგანაც მეშინოდა ჩემის თვალებისა, რომ არა გამოეთქოთ-რა. ჩვენ ორივენი შევსდგით ბალის ბოლოზედ, აღშენებულ ფანჩატურის ახლო, პაწაწა გორაკზედ. აღსასრულებლად ჩემის განძრახვისა დამაბრკოლებელი მიზეზი აღარა იყო-რა. მამხეცებული მივარდი ექიმს და ორივე ხელებით წაუჭირე უღლში. —მოგკლავ, მოგკლავ—დაუწყვირე მენამდელი გიჟი ვარ და დეიფიცე შენი მოკვლა-მეთქი. ისეთი ღონე მომეცა იმ დროს, რომ თას იმისთანას მივარჩობდი.—ისე მოვუჭირე ყელში, რომ იმ წამსვე განუტევა სული. მაშინვე მივანარცხე მისი თავი ხესა და მით განუტეხე თავის ქალა. დავიწყე სიხარულისაგან ცეკვა, რომ ესრე კარგად ავასრულე საქმი ჩემი. ხმა მატარებელისა მომესმა, დრო არ უნდა დამეკარგა.

(დასასრული ხვალ)



I პირველად

ახალი პიესა გ. ნ. სუნდუგანისა და ქცეული ოჯახი კომედ. 3 მოქ. სომხურიდამ ნათარგმნ.

II მეჯლისი

იტალიელი მოკლავლებით ოპერეტკა 1 მოქმ. მუხ. მჭფუნბახისა. დასაწყისი 8 საათსუდე.

ვარა-კითხვის საზოგადოების გამოსცემანი: იგავ-ანაგანი, გალექსილნი თ. რ. შრისთავისაგან, სურათებითი გამოსცემა მეორე, ფასი ექვსი შაური. წითელი ფანანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ბ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური. ხატაგრი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური. ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. შინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნი-სასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაგრი 8 კ. (10-8)

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწეების სტვირი

ლუბანი, სიმღერები და ზღაპრები ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად აღაიანცისა გამოსცემა გ. მ. შავგუდგოვის განკეთის საგვებტოსი. ფასი ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკიანის ქართული წიგნის მაღაზიაში დედა და შვილი და რამდენიმე ლუბანი თ. ილია ჭავჭავაძისა. წ. ჭიჭინაძისაგან გამოსცემული ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

ეროგა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა გამოსცემული წ. ჭიჭინაძისაგან ფასი 15 კაპ.

ინგლისის მაღაზიაში ზღვის ბალახი ფუთი—2 მ. 40 კ.; ეინც იყიდის ერთად ერთ შეკვრას (9 ფუთამდე) დაეთმობა 2 მ. 20 კ. ფუთი.

იქე: ფანრები—30 კ-დამ, საჩიე-ბი—35 კ., 100 ნეფსი—8 კ., პატაუ-კა—20 კ., კანფეტები, პარაშოკი (ბორაკს) თეთრეულის სარეცხავად, საე-კიმო ქალაღი ვატერ-კლოზეტისათვის, თაფლის სანთლები 32 კ. ინგლ. გორფ., მაკინტოშები 6 მანეთიდ მ და სხვ. და სხვ. (10-7)

„იველი“

მართული სალიტერატურო და საკოლიტიკო ჟურნალი

1883 წელში

გამოვი იმევე პროგრამით, სიერციტ და მიმართულებით, როგორც აქამდის გამოდიოდა, და ახლის თანამშრომელების დახმარებით.

ფასი წლიურის გამოცემისა—8 მ., ნახევარ წლისა—4 მ. და 50 კ., სამი თვისა—2 მ. და 50 კ., ცალკე ნომრისა—1 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში—მხოლოდ რედაქციაში, ანდრეევსკის ქუჩაზე, № 14.

ბარევე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ყურნალი ამ აღრცით:

Въ Тифлисѣ. Въ редакцію русинскаго журнала «Имеди».

რედაქტორი და გამომცემი მის. გურგენიძე.

ინგლისის ვალაზია

Maison de confiance


Table with 4 columns: Price, Quantity, Price, Quantity. Rows include items like 1-20, 1-40, 1-60, 1-80, 1-80, 2-50, 3-50.

იქევე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ქურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, და-ნები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალაღი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლიორნი, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 55 პროცენტით უფრო იაფად-ვიღრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

შინც ქალ.ქს გარედამ 25 მანეთი-დამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გა-მოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100-31)

საჭირო ნივთები ავდრისგან, თოვ-ლისგან და სიცივისგან: მაკინტოშები (ავდარ ჩაუხწყველი წამოსასხმები), კრა-გები, ცოცხები, საღებები, ღვინის ფუ-ჭაიები, შალის ხუჭები, დრაფი და სხვ. ინგლისის მაღაზიაში, ანდრეუნის ქარ-ვასლაში. (10-9)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლისანი 8 მ. და ორ საწო-ლისანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დას-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტე-ები, საფანგები, რკინის გაღებები, ქა-ლაღი, ნინები, რევოლვერები, თოფე-ბი, კანცისა და ქალის უნაგირები, აღბე-მები, კლეოანგები, ჩაი 1-ლის წარისისა. (100-10)

ახალი წიგნი

ისყიდება შავგუდგოვის ბაზრის სა-აგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული სამართველოს

ისტორია

შედგენილი რომან სანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკიანის წიგნის მაღაზიაში ქართული საზოგადოებისა № 1. გამომცემის წ. ჭიჭინაძისაგან. ფასი 25 კაპ. ტაშტისა

საკვებავ ხორაგულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დაწე-ნებში და დატარებთ 16 ინვინიდან 1 თებერვლამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის პირველის ხარისხის—1 გირ. 5 კ. მეორის „ —1 გირ. 3 1/2 მესამის „ —1 გირ. —

იმავე ფქვილ. თორნეში ბამომცხვარი: პირველის ხარისხის—1 გირ. 5 კ. მეორის „ —1 გირ. 4 კ. ჭვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 5 კ. მეორის „ —1 გირ. 4 1/2 მესამის „ —1 გირ. 4 კ. ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის —1 გირ. 10 კ. მეორის „ —1 გირ. 9 კ. სუკი — —1 გირ. 16 კ. ცხვრის ხორცი 1 გირ. 10 კ.

ღორის ხორცი: პირველი ხარისხის —1 გირ. 10 კ. მეორის „ —1 გირ. —

ინგლისის მაღაზიაში თმის ამოშავა-ნი მაკმასტერი



ამგვრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუ-მისა 2 მან., გავზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100-33)

იქვე ისყიდება ქინის ზომად: თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტვივილის მოსასპობლად, ტუალეტის სა-შანი, დუხები და სხვ.

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

სახელმძღვანელო რუსული ენისა ქართულთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოსცემა, შეცვლილი და დამატე-ბული იაკობ გოგუბაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნე-ბით (съ удареніями) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია ბრიჭურო-ვის წიგნის მაღაზიაში გუგუის სიღის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათა. ვისაც უდინა წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუ-მატოს სამი შაური. გრაჭუნოვის მაღაზიაშივე ისყიდება ყოველ გვანი სა-სულემდგანელ ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქე-ბიდან და ადგილებიდან ყოველ გვანს დახარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

ბუნების ძარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლა-სებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგუბაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოსცემა და ისყიდება გრაჭუნოვის წიგნის მაღაზიაში, გუ-გუის სიღის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო შირებს, რომელნიც იყიდინა ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემ-პლიარსა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თათხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

ძარბა სამართველოსი, მეორე შეცვებული გამოსცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, ვარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მიეცემა—ათს შაურად.